ეროვნული ბიბლიოთეკა
ეროვნული ბიბლიოთეკა
1879

1912
ნაპალოული

ყაბალაფვილი
ჯეონალი

· მცირე წლოვანთათვის ·

მარტი.

№ 6

ნაკადული

წელიწადი მე-VIII. თბილისი № 6. მარტი, 1912 წ.

სსრ საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

ლიტანიაზე მიდიან.

შინაარსი:

I ლიტანიაზე მიდიან,—სურათი 1

II—მერცხალი, ლექსი შ. მდივანელისა 3

III—შავი ბატკანი,—სასდგომო მოთხრობა ჯ.—ისა. . . 5

IV—კამფეტების ფულით,—(დასასრული) ვ. ლ—ძისა . . 10

V—სტუმრად ბულთან, —(დასასრული) ნინო ავალიანისა . . 14

VI—ორი მონადირე,—(იგავი) ალ. მირიანაშვილისა . : 18

VII——როგორ იცავენ თავს ცხოველები მტრისაგან,—
შემდეგი (გადმოგვეთ.), გ. ანთელიძისა 20

VIII—გასართობი: რებუსი, გამოცანები და აღსნა. . . 23

ტფილისი, ელექტ.-მბეჭ. ს. ლოსაბერიძისა, მოსკოვის ქ., საკ. სახლი № 5.

მერცხალი.

(მერცია დავითაშვილს).



ე პაწია მერცხალი ვარ,
მოჭიკჭიკე, მოალერსე;
ნეტავი რა დაგიშავე,
ქვებს რომ მესვრი, ბიჭო სესე?!

სიყვარულით, სიხარულით
მთები, ხეები გადმოვლესე,
მანამ შენთან მოვიდოდი
ერთხელაც არ დავიკვნესე.

შორით თვალებს გიკოცნიდი,
ცის ლაჟვარდში ვსრიალებდი,
ვჭიკჭიკობდი, შეგამკობდი,
სულ შენ შემოგტრფიალებდი;

ცხრა-მთა გზიდან მომავალი
მოქანცული, მოღალული,

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაბლა-დაბლა ვეშვებოდი:
შენ გეძებდა ჩემი გული.

აი მოვედ, დაგინახე,
გულში ია-ვარდი ვთესე,
აეჭიკჭიკდი უფრო ტკბილად,
ხმები გავიუკეთესე.

გეფიცები და-ძმობასა,
მხოლოდ ესლა დავიკვნესე;
არ გრცხვენიან, უმიზეზოდ
ქვებს რომ მესვრი, ბიჭო სესე?!

შ. მღვიმელი.



შავი ბატკანი.

ადგა აპრილის თბილი დღეები. მზემ უხვად მოჰფინა არე-მარეს თავისი გამაცოცხლებელი სხივები; დედამიწამ ზურმუხტის ხალიჩა გადიფარა; ათასფერად აყვავდნენ ხეხილები და ფრინველებმაც იწყეს საამური ჟრიამული.

აღდგომის წინა დღეები იყო. ყველა საღდგომოდ ემზადებოდა და თავად მარჯანიძისას დიდი ფუს-ფუსი იყო. ბავშვებიც დიდ სისარულში იყვნენ აღდგომის მოლოდინში. ზოგი კვერცხებს ღებავდა, ზოგი სამზარეულოში დარბოდა, ზოგი თაიგულებს აკეთებდა, ზოგი ახალ ტანისამოსს იზომავდა. მხოლოდ პატარა ობოლი თინა არ შორდებოდა ბატკნებს, რომელნიც მეორე დღისთვის უნდა დაეხოცნათ და ნამეტნავად

ერთ ჰატარა შავ ბატკანს, რომელსაც ისეთი დაღონებული თვალები ჰქონდა, თითქო გრძნობდა, რომ ამ ძშვენიერ ბუნებას უნდა გამოსალმებოდა.

ჰატარა თინა ეხვეოდა ბატკანს, ჰკოცნიდა თვალებში და თან ეუბნებოდა:

— ჩემო ლამაზო ბეკეკა, არავის არ მივცემ ნებას, რომ შენ დაგკლას.

ამ დროს გარედ გამოვიდა თინას დეიდა ნინო. დაინახა თინა მარტო და ჰკითხა:

— რატომ ბავშვებთან არა თამაშობ, თინა,—მარტო რათა ხარ მთელი დღე და მაგ ბატკანს არ შორდები?

თინა გამოიქცა, მოეხვია ნინოს და უთხრა:

დეიდა, გენაცვალე, ერთი მითხარი,—განა არ შეიძლება, რომ ბატკნები არ დავხოცოთ,—ცოდვა არ არიან? ბატკნების მაგივრად სხვა რამე დავაწყოთ მაგიდაზე; დეიდა, გენაცვალე, თუ სხვებს დახოცავთ, ამ ჰატარა შავ ბატკანს მაინც ნუ დაჰკლავთ; იცი, ეს ბატკანი ჩემ საყვარელ დედას მაგონებს. შარშან საღდგომოდ დედამ სწორედ ასეთი შავი ბატკანი მაჩუქა; მამა მაშინ ომში იყო წასული და მე და ჩემი დედილო დავრჩით შინ. მერე მალე ისიც წავიდა მამასთან და შინ არც ერთი არ დაბრუნებულა.

ამ ბავშვის სიტყვებზე ნინოს ცრემლები მოერია: მოაგონდა თავისი და და სიძე, ასე უდროოდ დახოცილები. ჩაიკრა გულში თინა და უთხრა:

— ვეცდები, ჩემო თინა, არ დავაკვლევინო ეს ბატკანი; ახლა კი წადი და ბავშვებთან ითამაშე.

თინა ისევ ბატკანთან გაიქცა. ნინო იქვე ჩამოჯდა და გული ვეღარ შეიმაგრა,—ტირილი დაიწყო. ამ დროს ფეხის ხმა გაიგონა: აიხედა და დაინახა თავისი ქმარი ნიკო,

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომელიც ის იყო ქალაქიდან დაბრუნებულიყო. ნინომ ბოდიში მოიხადა, რომ ნამტირალევი ეჩვენა და უთხრა: მომაგონდა უბედური თინას დედ-მამა, ისე უდროოდ და ისე შორს დახოცილები, და ტირილი ვერარ შევიმაგრეო.

ნიკოს არ უყვარდა, როცა ცოლს დადონებულს ხედავდა და ამის მიზეზად თინას სთვლიდა. ამიტომ ახლაც უთხრა:

— მანამ თინას სასწავლებელში არ მიგცემ და შენ თვალიდან არ მოიშორებ, სულ მაგრე იდარდებ.

ნინომ მოიწმინდა თვალები, შეხედა ქმარს და შეეხვეწა:

— ცოდოა ბავშვი, შორს ნურსად მისცემ,—ვერ გასძლებს.

და დაუმატა:

— გეთაყვა, უბრძანე მზარეულს შავი ბატკანი არ დაკლას.

— ეგ რისთვის?—ჰკითხა ნიკომ.

ნინომ უამბო თინას ამბავი და ისიც, თუ როგორი თვალცრემლიანი ეხვეწებოდა დეიდას არ დაეკლათ იმისი საყვარელი ბეკეკა.

— ეგ ნებიერობაა, ჩემო ნინო: ყველაფერი რომ აუსრულო, არ შეიძლება. ხომ იცი, ჩვენ შვილებსაც არ ვანებივრებთ. ახლა-კი ყველას თავი დავანებოთ და წამოდი, ბავშვების საჩუქრები ნახე.

საღამოს ჰატარები ადრე დააძინეს, რომ მეორე დღეს აღდგომის ცისკრისთვის ადრე გაეღვიძნათ და ყველას ახალი ტანისამოსი დაულაგეს. იმ ღამეს ბავშვებს არცა-კი სძინებიათ: ეშინოდათ, ცისკარზე არ დაჭვეიანებოდათ. თინასაც არ მოსდიოდა ძილი და სულ იმას ფიქრობდა, ჩემი ბატკანი ხომ არ დაკლესო. მარიკა და ჰატარა სიკო სულ ერთმანეთს ელაპარაკებოდნენ, მანამ ძილმა თავი არ წაართვა.

შუა ღამე გადავიდა. დაჭკრეს დიდი ზარი და წვრილმა ზარებმაც ხმა მისცეს. ბავშვებს მაშინვე გამოელვიძათ და ფიცხლავ წამოხტნენ. ჰატარა ბუთხუზა სიკოს-კი ისე ტკბილად ჩასძინებოდა, რომ, მანამ ლოგინიდან არ ჩამოათრიეს, არ გაელვიძა. ბავშვებმა საჩქაროდ დაიწყეს ჩაცმა; მოახლე თეკლეს აღარც-კი აცლიდნენ,—ყველა თავისკენ ეწეოდა. დედა რომ შემოვიდა, შემოეხვივნენ: არ დავიგვიანოთო, ეხვეწებოდნენ. თინამ-კი ისევ თავისი ბატკნის ამბავი ჰკითხა, სომ არ დაკლესო; მაგრამ ნინომ არ იცოდა, დაკლეს თუ არა. სიკომ-კი წამოიძახა, ყველა შეწვეს და მიგიდაზე დააწყესო. დეიდა გაუკვირდა სიკოს, გძელი ენა ნუ გაქვსო. მაგრამ თინა მაინც ძალიან დააღონა ამ ამბავმა. ამასობაში ყველანი მოემზადნენ და წავიდნენ საუდარში.

საუდარი გაჩირაღდნებული იყო სანთლებით, და სალხი, კელეტრებით ხელში, სასიამოვნო სანახავი იყო; ლიტანიის შემდეგ მღვდელმა დაიძახა:

„ქრისტე აღსდგა!“

ყველამ ერთ-ხმად მიაძახა:

„ჭეშმარიტად“.

წირვის შემდეგ მღვდელმა მიულოცა ნინოს და ბავშვებს; თინას კი შენიშნა, რომ დაღონებული იყო და უთხრა:

— შვილო თინა, დღევანდელ დღეს უნდა გამხიარულდეო.

შემდეგ ისინი გამოეშურნენ სახლისკენ, სადაც ნიკო უცდიდა. სასტუმროში იდგა დიდი, მორთული და ათასნაირი საჭმელებით სავსე მაგიდა. იქვე კუთხეში-კი ბავშვებისთვის ცალკე მაგიდა სიხუქრებით იყო სავსე

მაგიდის კვერდზე სჩანდა თინასთვის მომზადებული ლამაზი, ყვავილებით მორთული შავი ბატკანი. თინას სიხარულს საზღვარი არა ჰქონდა და არ იცოდა, როგორ გადაეხადა მადლობა დეიდისთვისა და ბიძასთვის. ბავშვებიც მადლობის ნიშნად უანგარიშოდ ჰკოცნიდნენ თავიანთ საყვარელ ლედ-მამას.

ჟ.

კამფეტების ფულით.

(დასასრული).



ადილობამაც მოაწია. მოსამსახურემ სუფრა გაშალა, მთელი ოჯახი მაგიდას მოუჯდა და გემრიელ საჭმელებს შეექცეოდა.

როცა შემწვარი ბატკანი შემოიტანეს, სანდროს თვალები გაუშტერდა და რაღაც ფიქრებში გართულმა ჯამაზე ხელი აიღო.

— რად არა სჭამ, შვილო: შენ ხომ ძლიერ გიყვარს ბატკნის ხორცი?— გაოცებით ჰკითხა დედამ.

— დედა! ამ ბატკანის მატელი სად არის?— იკითხა ბასუხის მაგიერ სანდრომ.

მშობლებს ეშაწვილის კითხვა ეუცხოვათ და შეშფოთდნენ.

— მატელი, შვილო, ტყავს გაჰყვა; ეს ხომ ტყავ-გახდილი ბატკანია!— მიუგო მამამ.

სანდრო კვლავ ჩაფიქრებული იყო და არას სჭამდა; შემდეგ დედას მიუბრუნდა და ღიმილით ჰკითხა:

— დედილო! ერთი შალის ხალათი რა ეღირება?

ამგვარმა მოულოდნელმა კითხვამ კიდე უფრო დააფრთხო მშობლები.

— როგორი შალის, შვილო?—აკანკალებული ხმით სთქვა დედამ.

— აი უბრალო საჩოხე შალს რომ ქსოვენ სოფელში.

— რად კითხულობ, გენაცვალე? განა იმისთანა შალი მოგწონს? თუ გინდა დღესვე შევაკერვინებ. განა მაგაზე ფიქრობდი? ჩვენ-კი გული გაგვიხეთქე და!

— არა, დედა! მე რად მინდა! მე ხომ ბევრი ტანსაცმელი მაქვს... ისე ვიკითხე: მატელმა მომაგონა.

— იაფია, შვილო! დიდი, დიდი—მანეთად, მანეთ-ნახევრად ეღირება,—დაასწრო მამამ.

სანდრო კვლავ ჩაფიქრდა და გულში რაღაცას ანგარიშობდა. მერე უცებ მიუბრუნდა დედას და გაბრწყინვებული თვალებით ცქერა დაუწყო.

— დედიკო! ხომ ეოველ დღე მომცემ კამფეტების ფულს?

— კი, გენაცვალე! შენ ოღონდ კარგად იყავი! ცუდად არაფერი იფიქრო და მეტსაც მოგცემ, თუ გინდა,—მიუგო დედამ და თან მღელვარებით გადაჰკოცნა.

— არა, დედილო! მე მეტი არ მინდა, მხოლოდ დღეის თხუთმეტამდე ფულს ნუღარ მომცემ, მაშინ-კი მანეთ-ნახევარი ერთად მომეცი.

— კი, დედა! კი, შვილო! შენი ნებაა!—თუ რისამე ეიდჯას ფიქრობ, უმაგისოთაც გიყიდი,—უპასუხა ცოტათი დაიმედებულმა დედამ.

— არა, დედილო! მე მხოლოდ ერთად მინდა მიყიდო ფული, მეტი არაფერი!—თქვა სანდრომ და ბატკნის ფეხი აიღო. მშობლებიც დამშვიდდნენ და სადილობა განაგრძეს.

გათენდა მეორე დილა. სანდრო სკოლაში მარტო წავიდა, სახული ჭისკრიდან უკან დააბრუნა, სოსოს გაუარა, დაუძახა

და სკოლისკენ გაეშურნენ. ამ დღის შემდეგ სანდრო სულ ასე იქცეოდა, და თუ ძლიერ ცუდი ამინდი არ იყო, სახლს არცკი გაიყოლებდა. ამასობაში ერთი კვირაც გავიდა. სანდრო მოუთმენლად სთვლიდა დღეებს.

გათენდა მეორე კვირის დანიშნული ორშაბათიც. სანდრო ჩვეულებრივზე უფრო ადრე წამოხტა ლოგინიდან, საჩქაროდ ჩაიცვა თავისი ხელით, ხელ-პირი დაიბანა, სიჩქარით დალია ჩაი და წიგნები აიღო.

— რას ჩქარობ, შვილო? ჯერ ხომ ადრეა.—უთხრა გაკვირვებით დედამ.

— ადრეა, დედიკო! მაგრამ დღეს ადრე მინდა მივიდე სკოლაში; მინდა, რომ ამხანაგებს მივასწრო,— თქვა სანდრომ და დედას დაეცქერდა, თითქო თვალებით ეკითხებოდა:—ხომ არ დაგავიწყდა, რომ დღეს ფულები უნდა მომცეო.

დედის მოსიყვარულე გული მიუხვდა სანდროს აზრს. სანდრომ ცქვიტად ჩამოირბინა კიბე და ხელში დედისაგან მიცემულ ვერცხლის ფულებს ათვალიერებდა.

ჯერ კიდევ ადრე იყო, როცა სანდრო სკოლაში მივიდა. იქ მოსწავლეთაგანი ჯერ არავინ იყო. მასწავლებელი-კი აივანზე დასეირნობდა.

— სანდრო! შენა?—გაიკვირვა მასწავლებელმა:

— ბიჭოს! შენ ასე ადრე რამ მოგიყვანა? ამო ჩქარა, შედი ოთახში, გცივდეს იქნება.

— არა, ბატონო! მე არა მცივა. მე ცოტა საქმე მქონდა და მისთვის ვიჩქარე.

— ვისთან, ჩემო კარგო?— დაეკითხა მასწავლებელი.

— თქვენთან,—მიუგო სანდრომ და თან დედისაგან მიღებული ფული მიაწოდა.

— ეს რის ფულია, სანდრო! იპოვე განა?

— არა, ბატონო! ეს ჩემი კამფეტების ფულია, თხუთმეტი დღეა მე კამფეტები არ მიყიდია და ეს შევაგროვე.

— ძალიან კარგი! მერე მე ამ ფულს რად მაძლევ?

სანდრო გაწითლდა და ცოტა ეოუმანის შემდეგ წაიბუტბუტა: — მამამ მითხრა, ეს ფული შალის სახალათეს იყიდისო.

— მერე, შენ გინდა სახალათე იყიდო?

— დიაღ, მაგრამ ჩემთვის-კი არა... იმისთვის...

ოსტატს უცებ მოაგონდა ორი კვირის წინად სოსოსთან ლაპარაკი და სახე-გაბრწყინებულმა დაასრულა სანდროს სათქმელი.

— სოსოსთვის განა?

— დიაღ, — მიუგო სანდრომ და თავი ჩაკიდა.

ოსტატის აღტაცებას საზღვარი არა ჰქონდა. გადაეხვია და მამაშვილურად გადაჰკოცნა კეთილი მოწაფე.

მესამე დღეს სოსო შალის ახალ სალათში გამოჭიმული იჯდა კლასში სანდროს გვერდით.

სოსოს დედა და მოხუცი მამიდა სულ სანდროს ლოცვა-კურთხევაში იყვნენ ამის შემდეგ. — სანდროს მშობლების სიხარულს ხომ საზღვარი არა ჰქონდა, როცა მასწავლებელმა უამბო მათი შვილის საქციელი; ისინი მხოლოდ მაშინ მიხვდნენ, თუ რად დააფიქრა სანდრო ორი კვირის წინად ბატკნის ხორცის დანახვამ.

პ. ლ—ძე.



სტუმრად გუსთან.

(დასასრული).



ამ დროს საიდანღაც გამხმარ ტოტების ტკაცუნი მოისმა: რაღაც მოგოგავდა მიწაზე მძიმე ნაბიჯით.

— აი, შე ზარმაცო, ახლა აბირებ ნადირობას! შეხედე, შუა ღამე კიდეც გადავიდა. მაგრამ, აბა რას დაიშლიდი, რომ ერთი საათი მაინც არ გებერტყა და გეწმინდა შენი თავი.

—უამისობა არ იქნება, ჩემო ბუვ: სისუფთავე მუდამაა საჭირო, და თუ გვიან ვდგები, ეგეც არაფერია. მაჩვის წილად მუდამ საკმაოდ რჩება გველ-სოკერები, თაგვები და ბაყაყები. დაუდეგარმა მელიამ მთელი დღე არ დამაძინა: ჩემ მეზობლად სცხოვრობს და ისეთი მოუსვენარია, რომ, მგონი, მალე მივატოვებ ჩემ სოროს და სხვაგან ახალს მოვთხრი.—ეს სთქვა ბატარა, მეტად მოუხეშავმა ცხოველმა და აუჩქარებლივ განაგრძო გზა. ვანომ შენიშნა, რომ ამ ცხოველს კუდი ჰქონდა მოკლე, სქელი, აბურძგნული, და მთელი სხეული მოელვარე ჯაგარის მსგავს ბალნით დაფარული.

— მოდი, ვანო, ახლა ჩემ დას ვესტუმროთ,—მიმართა ბუმ:—დილამდის ბევრი დრო აღარ დარჩენილა; და დიდისანია არ მინახავს. არ ვიცი, ცოცხლები არიან იმისი შვილები, თუ არა.

ამ სიტყვებთან ერთად ბუმ და ვანომ ერთ ძველ ნანგრევისაკენ გასწიეს, რომელიც გზის პირად იდგა. ვანომ იცნო ეს ნანგრევი. მუდამ, როდესაც ამ გზით მოუხდებოდა გავლა, შორს მოუვლიდა ხოლმე: იქ, გადიას სიტყვით, მავნე სულები ბინადრობდნენ.

მაგრამ ახლა, რაკი ბუსთან იყო, ვანოს სრულებით არ უგრძვნია შიში...

— აი ეს ნანგრევებიც: აქა სცხოვრობს ჩემი და თავის შვილებით.

ბუდეში პატარა ბუები ისხდნენ და სასაცილოდ აბრიალებდნენ თვალებს.

— გამარჯვება, ჩემო დისწულებო,—მიესალმა ბუ,—ხომ ყველანი კარგადა ხართ?

ბუს ბარტყები გატაცებით უამბობდნენ თავის დეიდას, თუ რა შიში ნახეს დღეს საცოდავებმა: დიდი, განიერი და გძელფრთიანი ფრინველი დაჭყურებდა ზემოდან მათ ბუდეს: თითქოს ათვალიერებდა, რომლისთვის ჩაეყლო თავისი მძლავრი ბრჭყალები. შეშინებულ ბარტყების საცოდავ წიკვილზე მოფრინდნენ დედ-მამა, ორი დიდი ბუ, და კინაღამ თვალები დასთხარეს იმ საზარელ მტაცებელ მერას. ამ უკანასკნელს, რასა

კვირველია, მეტი გზა არა ჰქონდა, უნდა წასულიყო უფრო საადვილო დავლის—ჰატარა, გაუფრთხილებელ კურდღლის ან თაგვის საშოვრად.

დრო-გამოშვებით ბარტყების ჭყივილს არღვევდა დიდი ბუ, რომელიც მოფრინდებოდა და ჩაუდებდა დაღებულ ჰირში ჭიას, მატლს ან ფარვანას.

დიდ ბუს სალაპარაკოდ არ ეცალა: გათენებამდის უნდა მოესწრო თავის ჰატარა, გაუმაძღარ ბარტყების დაძღომა და თვითონაც უნდა დანაყრებულიყო.

— ახლა ჩემი წასვლის დროც არის, მგონი,—წამოიწია ვანოს მეგობარი ბუ და ყური დაუგდო ერუ, ნაწყვეტ-ნაწყვეტ სმებს, რომლებიც საიდანღაც მოისმოდა. თურმე ტყის ქათამს ეგრძნო განთიადის მოახლოვება და ბებერ ფიჭვის გაფურჩქნულ კენწეროზე კაკანებდა.

ვანო და ბუ, ნანგრევებს რომ შორდებოდნენ, ნაცნობ ღამურას შეხვდნენ. ღამის ნადირობით მოქანცული ბრუნდებოდა იგი ძველ ნანგრევში მოსასვენებლად. აქ ის უკანა ფეხებით მოებღაუჭა კედელში წინ-წამოწვდილ ქვას და ასე, თავქვე დაკიდული, მოეწყო მეორე საღამომდის დასაძინებლად.

— ღამე-მშვიდობისა, ნათლიდედ! ძველ ნანგრევში არავინ დამიფრთხობს ძილს. ღამე-მშვიდობისა, ვანო!

ვანოს ეურადღება-კი ამ დროს მიიპყრო ნეკერჩხლის ტოტზე მთვლემარე შაშვმა. შაშვს სწორედ ამ დროს გაეღვიძა, შეიბერტყა ფრთებიდან ნამი, ტოტიდან ტოტზე ხტუნვით მოექცა ხის კენწეროზე და იქიდან წკრიალა, მხიარულ სიმღერით მიესალმა ამომავალ მზეს. შორს, ტყის იქით, თეთრ ზოლად ბოლი იკლაკნებოდა.

ვანოს ეურამდის მოაღწია ძაღლების ყეფამ და მწყემსებისაგან გარეკილ ნახირის ზარების ჟღარუნმა; ჩიტებმაც გამო-

ოღვიძეს, შეფრთხიალდნენ და ჟივილ-ხივილით და გალობით შეითამაშეს ჰაერში.

— დილა-მშვიდობისა, ჩემო ბუ! — უძახის ვანო! — ნახვამ-დის... კიდევ მოვფრინდები შენთან...

უეურებს... ტეეც და ბუც სადღაც ჩაინთქნენ.

ვერ გაუგია ვანოს, თუ სად იმეოფება. ისრესს თვალებს ბიჭიკო, იეურება, და არ უნდა დაიჯეროს, რომ თავის სა-წოლში წევს, რომ დილის მზის მხიარული სხივები ოქროს ფრად აშუქებენ იმის ოთახის კედლებს.

— მაშ ტეეში სულაც არა ვეოფილვარ, — ეცინის ვანო: — ალბად სიზმარი იეო.

უძახის გადიას, სთხოვს საჩქაროდ ჩამაცვითო.

— წავალ, დედას უამბობ ჩემ სიზმარს, — ამბობს მხიარუ-ლად. — ეველა ეს ხომ დედამ მიამბო ბუს ცხოვრების შესა-ხებ. ალბად იმიტომ ღამესიზმრა ბუ.

ნ. ავალიანი.



ორი მონადირე

(იგავი).



ერი კაცი წავიდა სანადიროდ ტყეში. ჰირობა დასდვეს, რომ მიუხედავად იმისა, თუ ვინ რამდენ ნადირს მოჰკლავს, ნანადირევი შუაზე, თანასწორად გაეყოთ. როცა შეუდგნენ ნადირობას, ისე მოხდა, რომ ერთის იღბალმა ძალიან გასჭრა: დიდძალი კურდღელი და ხოხობი გაწყვიტა; მეორემ-კი ერთიც ვერ მოკლა.

გათავებისას გამარჯვებულმა მონადირემ უთხრა ამხანაგს: ძმობილო, შენი წყენა არ მსურს, მაგრამ, უნდა გამოგიტყდე, ეს-კი შეუფერებლად და დიდ უსამართლობად მიმაჩნია: მთლად ჩემი საკუთარი მარჯვენით დახოცილი ნადირი შენ შუაზე გაგიყო. ვიცი, ამაზე შენც დამეთანხმები: კაცმა რომ სხვის ოფლით ისარგებლოს, სხვის ნაშრომი მიითვისოს, ეს სინიდისის ღალატი და ქურდობაზე უარესი იქნებაო.

თუმცა უიღბლო ამაზე არ ეთანხმებოდა, ჰირ-იქით ძალიანაც ეწყინა ამხანაგის მიერ ჰირობის დარღვევა, მაგრამ სათრით ვერაფრის თქმა ვეღარ მოახერხა, ჰირ-მოკუმული დაემორჩილა სიტყვის გამტეხს და გადასწყვიტა სახლში ცარიელი დაბრუნებულიყო.

ამნაირად ნანადირევი მთლად იღბლიანს დარჩა; მაგრამ, როცა შინ წასაღებად ზურგზე წამოკიდება დააჰირა, დარწმუნ-

და, რომ ნახევრის წადებასაც ვერ შესძლებდა: ტვირთი საკმაოდ მძიმე აღმოჩნდა.

რა ექნა? თუ დახოცილ ნადირს მეორედ დაბრუნებამდის ტყეში დასტოვებდა, ისევ ნადირივე შესჭამდა და ნაშრომი ხელიდან წაუვიდოდა; წადებასაც მარტო ვერ ახერხებდა. მეტი ღონე არ ჰქონდა, ისევ უიღბლო ამხანაგს მიმართა ვედრებით:

— ჰატივი მეცი, სიკეთე მიყავ და ეს მეორე ნახევარი სახლამდინ შენ წამოიღე: ამის აქ დატოვება სარჩოს ჯიბიდან გადაყრას ეგვანებაო.

რაკი უიღბლომ დაინახა, რომ მართლაც მის გამარჯვებულ ამხანაგს დახოცილი ნადირის სრულად წაღება არ შეეძლო და თითქმის ნახევარზე მეტი ხელიდან მისდიოდა, აიღო, წამოიკიდა და ორივენი დაადგნენ გზას.

მაგრამ, სოფელს რომ მიაღწიეს, უიღბლომ ტვირთი თავის სახლისკენ შეაბრუნა.

— საით, ძამიავ?— ჰკითხა გაოცებულმა ამხანაგმა,— სად მიგაქვს ტვირთი: მაინთ შენი სახლია და არა ჩემი?

— ვიცი, კარგად ვიცი,— მიუგო იმან,— მაგრამ ის უფრო უკეთ ვიცი, რომ შენ სინიდისის კაცი ხარ, სამართლიანობა გიყვარს და სხვის ოფლით სარგებლობას არ იკადრებ: ნანადირევი ტყიდან ჩემი ზურგით, ჩემი საკუთარის ღონით მოგაქვს და, აბა რა თქმა უნდა, შენ ამის მითვისებას არ იკისრებ.

იღბლიანმა მონადირემ ამაზე გულში მწარედ ჩაიცინა, მაგრამ ჰირში ჩალა-გამოვლებული-კი დარჩა.

ალ. მირიან-შვილი.

როგორ იცავენ ცხოველები თავს მტრისაგან.

(შემდეგი).

3. თავის დასახიჩრება.



ამ აქცევა ხშირად თავის დასაფარავად საკმარისი არაა: თუ მტერი ჩაგისაფრდა და უცბად თავს დაგეცა, მალიან კარგი სირბილიც რომ შეგეძლოს, ვერას გიშველის. ამისთანა შემთხვევისთვისაც ცხოველებს სხვა-და-სხვა საშუალება აქვთ. ბევრი ცხოველი თავის დასაცავად საოცარ საშუალებას მიმართავს ხოლმე:



თავს ისახიჩრებს და ამგვარად ხიფათს თავს აღწევს. თუ ხვლიკს თავს დაესხა მტერი, ის გაქცევით უშველის ხოლმე თავს. მაგრამ, ვსთქვათ მტერმა დაიჭირა; ამ შემთხვევაშიაც ხვლიკი იარაღს არ ჭერის და სხვაგვარად განთავისუფლდება ხოლმე.

კუდი ხვლიკს ტანთან შედარებით ძალიან გრძელი აქვს. საზოგადოდ ცხოველებს და მათ რიცხვში ხვლიკსაც მტერი უკანიდან ეპარება და კუდით დაიჭერს ხოლმე. რასაკვირველია

მტერს გაეხარდება, საკბილე ვიშოვეო, მაგრამ მისი სიხარული ხანგრძლივი არ იქნება: მოუჭერს თუ არა კბილს ხვლიკს კუდზე, ეს უკანასკნელი მოსწყდება, ხვლიკი გაექცევა; მტერს მარტო კუდი შერჩება. საქმე იმაშია, რომ ხვლიკის კუდს შესანიშნავი თვისება აქვს: რა წამს ეს ცხოველი იგრძნობს ტკივილს კუდის რომელსამე ნაწილში, ეს კუდი მაშინვე იმ ადგილას წყდება და მტერს ხელში რჩება; კუდ-მოგლეჯილი ხვლიკი-კი მსწრაფლ გარბის და თავს შველის. ხვლიკი კუდს ჭკარგავს, მაგრამ საკმაოდ სიკვდილს გადარჩება ხოლმე. გადის დრო, და ახალი კუდი ეზრდება, რომელიც განსაცდელის დროს კვლავ საკმასურს უწევს.

ხვლიკს ისე ადვილად მოსწყდება ხოლმე კუდი, რომ კაცს ეგონება, განგებ სჩადის ამასაო. გარდა ამისა კუდი გადასწყდება ხოლმე ოთველთვის ერთსა და იმავე ალაგას. იყო დრო, როცა მეცნიერებს ეგონათ, რომ ხვლიკი განზრახ, თავის ნებით, იცილებს კუდს ხიფათის დროსაო, მაგრამ, როცა უფრო ახლო გაეცნენ ამ მოვლენას, დარწმუნდნენ, რომ სცდებიან: მიხვდნენ, რომ ხვლიკის კუდის ასეთი თვისება თავის დაცვის საშუალებაა ცხოველისათვის, მაგრამ იმავე დროს მის ნებაზე არა ჭკიდია. ამაში ჩვენ უბრალო ცდა დაგვარწმუნებს.

ხვლიკის კუდი შესდგება მძივივით ასხმულ პატარ-პატარა მვლებისგან. ერთი ამ პატარა მვალთაგანი ორ ნაწილისგან შესდგება, და ეს ორ ნაწილად გაყოფილი მვალი ოთველთვის ისე ტუდება, რომ ერთი ნაწილი ხვლიკის ტანს შერჩება ხოლმე, მეორე-კი მოწყვეტილ კუდს.

როცა ფრინველი ან სხვა რომელიმე ცხოველი დაიჭერს ხვლიკს კუდით და ნისკარტს ან კბილებს მოუჭერს კუდში, ხვლიკი ტკივილს ჭგრძნობს და ეს ტკივილი კუდის გაწყვეტას გამოიწვევს ხოლმე. მაშასადამე ხვლიკი თავისი კუდის

შესანიშნავი თვისებით ვერ ისარგებლებს, თუ მტერი დაიჭერს ისე, რომ კუდში ტკივილს არ აგრძნობინებს.

ხიფათის დროს თავის დასახიჩრებას მარტო ხვლიკები როდი მიმართავენ ხოლმე. არიან სხვა ცხოველებიც, რომელნიც განსაცდელში ამ საოცარ საშუალებით სარგებლობენ; ამისთანა ცხოველთა რიცხვს ეკუთვნიან ცხრაფეხა და ზოგი ჯიში ობობებისა.



ცხრაფეხას რომ ფეხში ხელი წაავლოთ, ფეხი ხელში შეგრჩებათ; თვით ცხრა ფეხა კი გაიქცევა. არის ერთგვარი გრძელ-ფეხებიანი ობობა, რომელსაც მცენველას ეძახიან; იმასაც დაჭერის დროს ფეხები ადვილად სწყდება ხოლმე. ცხრაფეხასაც და ობობასაც, სწორედ ისე, როგორც ხვლიკს ფეხი მოსწყდებათ ხოლმე, როცა შიგ ტკივილს გრძნობენ.

მოწყვეტილი ფეხი ცხრა ფეხას მალე ისევ ეზრდება. ადვილი გასაგებია, რომ ცხრა ფეხას, ხვლიკს და ობობას ხშირად შველის ხოლმე ეს თვით-დასახიჩრების უნარი მტრებისგან თავის დაღწევის დროს. მაშასადამე ეს თვისებაც, ესე იგი თვით-დასახიჩრება, არის ერთი იმ საშუალებათაგანი, რომლის შემწეობით ეს ცხოველები კარზე მომდგარ მტრისაგან თავს იფარავენ.

გ. ანთელიძე.

(შემდეგი იქნება)



გეოგრაფიული ამოცანა.

(წარმოდგენილი დ. კარბელაშვილის მიერ).

ავილოთ შემდეგი სიტყვები:

1. მდინარე ნომხეთის და საქართველოს საზღვარზე 6 ასოსგან.
2. მდინარე დასავლეთ საქართველოში, 6 ასოსგან.
3. მდინარე კახეთში, 7 ასოსგან.
4. ტბა სამხრეთ საქართველოში, 5 ასოსგან.
5. სოფელი თელავის მაზრაში, 10 ასოსგან.
6. მდინარე კახეთში, 4 ასოსგან.

ამ სიტყვების პირველ ასოებისგან შეადგინეთ მდინარის სახელი, რომლის შესართავთან, მტკვართან, ძველის-ძველი სოფელია, სადაც პირველად აღმოცენდა ქრისტიანობა წმ. ნინოს წყალობით.

ამოცანები.

(ხალხური ჩაწერილი აგაფონ გუნიავას-მიერ).

1. მიეთრევა, მოეთრევა და კუთხეში მიეგდება.
2. წითელ ჯურში წითელი კენჭები აწყვია.

რებუსი.

მ„ კ ,, ,, ,,

ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გამოცემა

„სახალხო გაზეთი“

გაზეთი გამოვა 1913 წელს იმავე პროგრამით რო-
გორც 1912 წ. გამოდიოდა.

ყოველ-დღიურ გამოცემის გარდა 1913 წ. გაზეთს ექნება

სურათეგიანი დამატება კვირაობით.

მიიღება ხელის-მოწერა 1913 წლისათვის. გაზეთის ფასი: წლით, როგორც ქალაქში, ისე ქალაქ გარეთ 8 მ. და 50 კ. ნახევარი წლით 4 მ. 80 კ., წლიურ ხელის მომწერლებს შეუძლიანთ გაზეთის ფასი ნაწილ-ნაწილადაც შემოიტანონ. ხელის მოწერა მიიღება „სახალხო გაზეთის“ კანტორაში და წერა-კითხვის საზოგადოების მაღაზიაში ი. ავალიშვილთან.

რედაქციის ადრესი: Тифлисъ, редакція **„Сахалхо Газети“**.

დამდეგ 1913 წლის განმავლობაში „სახალხო გაზეთის“ დამოუკიდებლივ განზრახულია გამოიცეს რამდენიმე კრებული სამეცნიერო, ფილოსოფიური და სამხატვრო შინაარსისა. თითო წიგნი იქნება 300 -500 გვერდამდე. გამომცემლებთან შეთანხმებით. „სახალხო გაზეთის“ წლიურ ხელის მომწერლებს თითო წიგნი დაეთმობათ 50 კაპ., სხვებისთვის-კი ეღირება არა ნაკლებ თითო მანეთისა.

1912 წ. მიიღება ხელის მოწერა

დასურათებულ საყმაწვილო ჟურნალ

„ნაკადულ“-ზე

✦ წელიწადი მერვე ✦

ჟურნალი გამოვა ჩვეულებრივი პროგრამით და საგანგებოდ არჩეულ სარედაქციო კომისიის ხელმძღვანელობით, მონაწილეობას ღებულობენ ჩვენი ცნობილი მწერლები და პედაგოგები.

წლიურ ხელის მომწერლებს მიეცემათ:

24 **წიგნი** „ნაკადულისა“ მცირე წლოვანთათვის. **12** **წიგნი** „ნაკადულისა“ მოზრდილთათვის.

საჩუქრად მიეცემათ წლიურ ხელის მომწერლებს

✦ დასურათებული 120-ზე მეტი ორიგინალური ოგავარაკი ალ. მირიანაშვილისა. ✦

ფასი ჟურნალისა: წლიურად ორივე გამოცემა **5** მან. ნახევარ წლით — **3** მან., ცალ-ცალკე: მცირე წლოვანთათვის **24** წიგნი — **3** მან. მოზრდილთათვის **12** წიგნი — **3** მან., ფულის შემოტანა შეიძლება ნაწილ-ნაწილადაც.

ხელის მოწერა შეიძლება **ტფილისში** — „ნაკადულის“ რედაქციაში, ზუბალაშვილის ს., გოლოვ. შრ. № 8. Редакція „Накадули“ Головинскій пр. № 8. და წერა-კითხვის საზოგადოების წიგნის მაღაზიაში, სასახლის ქუჩ. **ქუთაისში** — ასიდორე კვიცარიძესთან, ო. მასყარაშვილთან, დ. მარიამ უკუხიშვილთან. **სამტრედიაში:** ივანე გლადკოვთან, **ფოთში** — თეოფილე კანდელაკოვთან. **ბათომში** კ. სოფიო ნაკაშიძესთან და ტროფიმ ინასარიძესთან. **დ. ხონში** — ალექსანე ვასილის ასულ ბახტაძესთან. **ოზურგეთში** — დეკო იმსაძესთან. **თელავში** — ვანო ბაბაშვილთან. **ახალციხეში** — კონსტანტინე კვარაძესთან. **ბაქოში** — ვასილ ახვლედიანთან და ივანე ელიაშვილთან. **გორში** — ხანო ლომაურთან და ქეთევან ჯავახიშვილთან. **სოხუმში** — კ. მარიამ ხინბაძესთან. **ჭიათურაში** — ივანე გომელაურთან, **განჯაში** — ბ. ამბოქაძესთან **ერევანში** — კ. ოდაბრიასთან, **სილნალში** — ნ. ახმეტელაშვილთან.

რედაქტორი **ნინო ნაკაშიძე.**

გამომცემელი **თავ. პავლე იოსების ძე თუმანიშვილი.**